სსიპ – ლევანსამხარაულისსახელობისსასამართლოექსპერტიზისეროვნულიბიურო

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 289

(გამარტივებული შესყიდვა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის №583 განკარგულების საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად)

ქ. თბილისი 03. მაისი 2012 წ.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ერთი მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო **(შემდგომში - მიმწოდებელი)** ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ანა ნადირაშვილის სახით (ბიუროს უფროსის 03.01.2012 წლის №1§1 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, **(შემდგომში – შემსყიდველი)** საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საპრივატიზებო ობიექტების აღრიცხვისა და შეფასების ხარჯისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის მომსახურების გაწევა**, ექსპერტის დასკვნის ან დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა. (CPV-71330000)

## მუხლი 3. საექსპერტო მომსახურების ვადა

3.1. საექსპერტო მომსახურება იწყება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის თითოეული მომსახურების ნასატარებლად საჭირო მასალების წარდგენის მომდევნო დღიდან და მთავრდება 05 (ხუთი) სამუშაო დღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 მომსახურების შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომსახურების გაწევა შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით.

3.3 საექსპერტო სამუშაო შესრულებულად ითვლება ექსპერტის დასკვნის, აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ შემსყიდველისათვის ჩაბარების (გადაცემის) მომენტიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

## მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა: **50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.**

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურების ტარიფების საფუძველზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.

4.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშფაქტურის და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს თეა გაღრანს.

თბილისი 0162, ჭავჭავაძისგამზ №84, (995 32) 258 484; (995 32) 290 524; www.expertiza.gov.ge; www.forensics.ge



შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
03 05 2012 წ.

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) საექსპერტო კვლევის ნასატარებლად საჭირო მასალები წარადგინოს კანონით დადგენილი წესით;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) ხელი შეუწყოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევის შესრულებაში.

### 5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

ბ) ნაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს თეა გადრანს, რომელიც უფლებამოსილია ნაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

### 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ნაატაროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული საექსპერტო მომსახურება.

ბ) საექსპერტო კვლევის ნასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ნაიბაროს კანონით დადგენილი წესით;

გ) დროულად და ხარისხიანად ნაატაროს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი გამოკვლევები;

დ) აცნობოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების პროცესში რაიმე დაბრკოლების არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია, ან შეიძლება გამოიწვიოს გამოკვლევის ნატარების შეფერხება, ან ობიექტური მიზეზების გამო საჭირო ხდება გამოკვლევის შესრულების ვადის გაგრძელება;

ე) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

### 5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება;

ბ) შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული კვლევა, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით.

გ) საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სრულად წარმოუდგენლობის, ან ობიექტური მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე და დააბრუნოს საქმე შეუსრულებლად, ამის შესახებ შემსყიდველისათვის შეტყობინებიდან 15 დღის ვადაში.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების



შემოსავლების იურიდიულ დეპარტამენტი
03 05 2012 წ.
4

შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.

6.2 თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიმწოდებლის მიერ ნატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან.

6..3 თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

6.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულად გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედება**

7.1 ხელშეკრულების დადების თარიღად ჩაითვლება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღე.

7.2 დავალების მოქმედების ვადა აითვლება შემსყიდველი მხარის მიერ მიმწოდებლისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის გადაცემის მეორე დღიდან.

7.3 წინამდებარე ნარდი ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან ხელშეკრულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მხარეებისთვის იმ პერიოდამდე, ვიდრე მხარეები სრულად არ შეასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი მხარისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

9.2 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს გარიგებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

9.3 ხელშეკრულებაშიშეტანილიცვლილებაწარმოადგენსხელშეკრულებისგანუყოფელნაწილს.



6-ეგზემპლარი
03 05 2012 წ.
4

## მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ საერთო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

## მუხლი 11. ფორს მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

12.2 შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

## მხარეთა რეკვიზიტები:

| მიმწოდებელი: | შემსყიდველი: |
|---|---|
| სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>სს "ლიბერთიბანკი" ც/ფ.<br>IBAN ანგარიშის №GE86LB0121113150235000<br>ბანკისკოდიLBRTGE22<br>ს/კ: 204852089 | **მისამართი:** ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433 |
| საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ანა ნადირაშვილი | საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი |
| .................... | .................... |

03 05 2012 წ.
4 ფურცელი